სწრაფი შეფასების პროცესის დაგეგმვა ფოთსა და სენაკში

(PACA-ს მეთდოლოგია = კონკურენტული უპირატესობის მონაწილეობითი შეფასება)

შესავალი

საქართველოში ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ძირითადი ჯგუფი შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მხარდაჭერით, იწყებს ორ საპილოტე პროცესს ქვეყნის ორ მუნიციპალიტეტში ბიზნესზე ორიენტირებული ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მიდგომის პრაქტიკაში განსახორციელებლად. 2022 წლის ივნისში ამ მიზნით შერჩეულ იქნა ორი მუნიპალიტეტი - ფოთი და სენაკი.

დეტალური კვლევების პროცესი მიმდინარე წლის სექტემბრის ბოლოდან დაიწყება და ორ კვირას გაგრძელდება. თუმცა, უშუალოდ ანალიზის დაწყებამდე საჭირო იქნება რამდენიმე მონაწილეობითი აქტივობის განხორციელება და პირველადი ინფორმაციის მოძიება. გარდა ამისა, ჩატარდება ტრენინგები შეფასების პროცესის ინსტრუმენტების გამოყენების შესახებ.

ქვემოთ გაწერილია ის შეხვედრები, რომლებიც დადასტურებას საჭიროებს თქვენი მხრიდან. თითოეულ შეხვედრასთან დაკავშირებით ასევე მითითებულია ის მოსამზადებელი სამუშაოები, რომლებიც დაგვეხმარება შეხვედრების წარმართვაში.

პირველი შეხვედრა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან (13 ივლისი, 11:00 – 13:00, საქართველოს დროით)

- PACA-ს გუნდი: ფოთისა და სენაკის მუნიციპალიტეტები ასახელებენ შეფასების გუნდის წევრებს. გუნდი უნდა შედგებოდეს დაინტერესებული და მოტივირებული წევრებისგან, რომლებიც მეზოპარტნერთან ერთად განახორციელებენ სწრაფ შეფასებას სექტემბრის ბოლოს და რომლებსაც ექნებათ საკმარისი დრო ამ აქტივობისთვის ორი კვირის განმავლობაში (2022 წლის 26 სექტემბრიდან 7 ოქტომბრამდე). PACA-ს გუნდი უნდა შედგებოდეს 5-8 ადამიანისგან მუნიციპალიტეტიდან (2 წევრი), კერძო სექტორიდან (3 წევრი) და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებიდან (2-3 წევრი).
- ინფორმაცია მომდევნო ნაბიჯებისა და პროცესის შესახებ.
- დაინტერესებული მხარეების მეფინგის პირველი ინტრუმენტის გაცნობა.

მეორე შეხვედრა შეფასების გუნდთან (28 ივლისი, 11:00 – 13:00, საქართველოს დროით)

- რეფლექცია და ღრმა ანალიზის ზოგიერთი ინსტრუმენტის გაცნობა
    - LED-ის ჰექსაგონის სამკუთხედების სტრუქტურა/კითხვები
    - დაინტერესებული მხარეების რუკა: SysCo
- დავალებების განსაზღვრა შეფასების გუნდისთვის

მესამე შეხვედრა შეფასების გუნდთან (24 აგვისტო, 11:00 - 13:00, საქართველოს დროით)

- მსჯელობა შეგროვებული ინფორმაციის ირგვლივ

- რეფლექცია ძირითად სექტორებსა და შერჩევის კრიტერიუმებზე
- მომდევნო თვის დაგეგმვა და PACA-ს ანალიზისთვის მზადება

სექტემბერში ჩასატარებელ შემდგომ შეხვედრებზე გადაწყვეტილება ერთობლივად მიიღება.

საუკეთესო სურვილებით,

ფასილიტაციის გუნდი
ფრენკ უოლტრინგი
ზვიად არჩუაძე
სალომე გუგუშვილი
შივდი სინგ
მარკუს ჯენალ